ნიკოლოზ თომასიანი*

"დაცვის მხარის უფლებამოსილება სსსკ-ის 136-ე მუხლის ფარგლებში ინფორმაციის გამოთხოვისას"

ანოტაცია

2017 წლის 27 იანვრამდე დაცვის მხარეს შეზღუდული ჰქონდა სასამართლოსათვის მიემართა შუამდგომლობით და მოეთხოვა განჩინება კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში შენახული ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის შესახებ, რაც არასწორი იყო.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის გადაწვეტილებით, ბრალდების მხარე და დაცვის მხარე კომპიუტერულ სისტემაში დაცული ინფორმაციის გამოთხოვის უფლებამოსილებებში გათანაბრდნენ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლს დაემატა მე-4[1] ნაწილი, რომლის მიხედვითაც ამავე მუხლით გათვალისწინებულ საგამოძიებო მოქმედებაზე ვრცელდება კოდექსის 111-ე, 112-ე და 134-ე მუხლების დებულებები. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით, დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე დაცვის მხარის დასაბუთებული შუამდგომლობით, სასამართლოს განჩინების საფუძველზე საგამოძიებო მოქმედებას ატარებს გამომძიებელი, რომელიც არ შეიძლება იყოს იგივე პირი, რომელიც მოცემული საქმის გამოძიებას აწარმოებს.

აღსანიშნავია, რომ სასამართლო პრაქტიკაც ამ კუთხით განვითარდა და დაცვის მხარის შუამდგომლობით მოთხოვნილი საგამოძიებო მოქმედების (ინფორმაციის გამოთხოვა) ჩატარებას სასამართლო შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის დანაყოფს ავალებს.

წინამდებარე სტატიის მიზანია შევაფასოთ ინფორმაციის გამოთხოვა წარმოადგენს თუ არა ისეთ საგამოძიებო მოქმედებას, რომლის დამოუკიდებლად ჩატარების უფლებამოსილებაც არ აქვს დაცვის მხარეს და ასეთ შემთხვევაში რამდენად მიზანშეწონილია განჩინების შესრულების დავალება საგამოძიებო ორგანოსათვის.

საკვანძო სიტყვები: დაცვის მხარე, მტკიცებულება, საგამოძიებო მოქმედება, ინფორმაციის გამოთხოვა, კომპიუტერული სისტემა

---

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის მე-4 კურსის სტუდენტი.

1. შესავალი

სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.[1] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით კი, მხარეს უფლება აქვს, დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება.[2] მტკიცებულებათა მოპოვება მხარეების პრეროგატივაა. [3] ისინი თავიანთი შეხედულებისამებრ მოიპოვებენ და წარადგენენ მტკიცებულებებს.[4] როგორც აღინიშნა, ბრალდების მხარის მსგავსად, დაცვის მხარეც უფლებამოსილია პარალელური გამოძიება ჩაატაროს. მხარეებს უფლება აქვთ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების გზით მოიპოვონ მტკიცებულებები.[5]

ბრალდებულს უფლება აქვს: დამოუკიდებლად ან ადვოკატის მეშვეობით ჩაატაროს გამოძიება, კანონიერად მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულება. [6] თუ მტკიცებულების მოპოვებისათვის საჭიროა ისეთი საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარება, რომელსაც ბრალდებული ან მისი ადვოკატი დამოუკიდებლად ვერ ატარებს, იგი უფლებამოსილია შესაბამისი განჩინების გამოტანის შუამდგომლობით მიმართოს მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით. მოსამართლე ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა, რათა ბრალდების მხარისათვის ცნობილი არ გახდეს დაცვის მხარის მიერ მტკიცებულების მოპოვება.[7]

---

[1] საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995.

[2] *ჩომახაშვილი ქ., თომაშვილი თ., ძებნიაური გ., ოსეფაშვილი ს., პატარიძე მ.,* მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2016, 7.

[3] *ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი ლ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი ლ., გუნცაძე შ., მეზვრიშვილი ნ., თოლორაია ლ.,* საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, 87.

[4] იქვე.

[5] *აქუბარდია ი.,* შეჯიბრებითობის ქართული მოდელის ზოგიერთი ასპექტი, „გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი“, N2, 2016, 12.

[6] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 38, ნაწილი 7, სსმ, 31, 09/10/2009.

[7] იქვე., მუხლი 39, ნაწილი 2.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში ინახება სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ან დოკუმენტი, პროკურორი, დაცვის მხარე უფლებამოსილია გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს მიმართოს შესაბამისი ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის განჩინების გაცემის შუამდგომლობით.[8] დაცვის მხარის დასაბუთებული შუამდგომლობით, სასამართლოს განჩინების საფუძველზე საგამოძიებო მოქმედებას ატარებს გამომძიებელი, რომელიც არ შეიძლება იყოს იგივე პირი, რომელიც მოცემული საქმის გამოძიებას აწარმოებს.[9]

2023 წლის 5 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიამ დააკმაყოფილა ადვოკატ თ.მ-ს შუამდგომლობა და ნებართვა გასცა ქალაქ თბილისში, წ-ის ქუჩა N2ა კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე მაღაზია „სპარის“ მენეჯერ ნ.გ-სგან გამოთხოვილ იქნეს მაღაზიის N5 და გარე პერიმეტრზე არსებული N11 ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების ჩანაწერები. [10] სასამართლომ აღნიშნული განჩინების შესრულება დაავალა შსს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს მე-2 სამმართველოს იმ გამომძიებელს, რომელიც არ შეიძლება იყოს იგივე პირი, რომელიც მოცემული საქმის გამოძიებას აწარმოებს.[11]

შესაბამისად, სტატიაში განხილულია შემდეგი საკითხები: ხომ არ ზღუდავს სასამართლოს მიერ განსახილველი ნორმის მსგავსი გამოყენება მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპს? ასევე, ხომ არ ხდება დაცვის უფლებაში გაუმართლებელი ჩარევა და ინფორმაციის გამოთხოვა მიეკუთვნება თუ არა საგამოძიებო მოქმედებათა იმ კატეგორიას, რომლის დამოუკიდებლად ჩატარების უფლებამოსილებაც დაცვის მხარეს არ აქვს .

2. დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვა

ბოლო პერიოდში საინფორმაციო ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ დღის წესრიგში დააყენა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში სპეციალური სახის საგამოძიებო მოქმედებების შემოღების საკითხი, ვინაიდან ასეთი საგამოძიებო მოქმედების გარეშე ფაქტობრივად შეუძლებელი

---

[8] იქვე., მუხლი 136, ნაწილი 1.

[9] *ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი ლ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი ლ., გუნცაძე შ., მეზვრიშვილი ნ., თოლორაია ლ.,* საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, 364.

[10] თბილისის საქალაქო სასამართლის სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2023 წლის 5 იანვრის განჩინება N87.

[11] იქვე.

იქნებოდა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის მოპოვება და მტკიცების პროცესში მისი გამოყენება.[12]კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებები წარმოადგენს საგამოძიებო მოქმედებას-ამოღების სპეციალურ შემთხვევას.[13] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის 27 იანვრამდე დაცვის მხარეს შეზღუდული ჰქონდა სასამართლოსათვის მიემართა შუამდგომლობით და მოეთხოვა განჩინება კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში შენახული ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის შესახებ, რაც არასწორი იყო. [14]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებით №1/1/650,699 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავს დაცვის მხარის მიერ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში შენახული ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის შესახებ განჩინების გაცემის შუამდგომლობით სასამართლოსათვის მიმართვას. [15] აღნიშნული გადაწყვეტილების შემდეგ განსახილველ მუხლში ორი საკანონმდებლო ცვლილება შევიდა, პირველი ცვლილებით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლს დაემატა მე-5 ნაწილი,[16] ხოლო 2022 წელს შეტანილი ცვლილებების შემდეგ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლს მე-4^1 და მე-4^2 ნაწილები. კანონპროექტის განმარტებით ბარათში ვკითხულობთ „ამჟამად მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში შენახული კომპიუტერული მონაცემის გამოთხოვაზე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143^2 – 143^{10} მუხლები, კერძოდ, ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისთვის დადგენილი სტანდარტები, ვრცელდება. აღნიშნული, მათ შორის, გულისხმობს, რომ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში შენახული კომპიუტერული

---

[12] *ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., აქუბარდია ი., მეურმიშვილი ბ., გოგნიაშვილი ნ., ივანიძე მ.,* საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, თბ., 2017, 534.

[13] *ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი ლ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი ლ., გუნცაძე შ., მეზვრიშვილი ნ., თოლორაია ლ.,* საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, 422.

[14] *ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., აქუბარდია ი., მეურმიშვილი ბ., გოგნიაშვილი ნ., ივანიძე მ.,* საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, თბ., 2017, 535.

[15] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება №1/1/650,699 საქმეზე „ საქართველოს მოქალაქეები ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

[16] საქართველოს 2022 წლის 24 მაისის კანონი N1575 „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, სსმ, 24.05.2022.

მონაცემის გამოთხოვაზე ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელებისთვის გათვალისწინებული მუხლობრივი შეზღუდვის წესი მოქმედებს. ამ წესის თანახმად (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143[3] მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი), კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში შენახული კომპიუტერული მონაცემის გამოთხოვა (ისე როგორც ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება) მხოლოდ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე ან ცალკეულ ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე არის დასაშვები. ასეთი სამართლებრივი მოწესრიგება და ის მოცემულობა, რომ ცალკეულ ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე არ ვრცელდება კომპიუტერული მონაცემის გამოთხოვის მექანიზმი, გაუმართლებელ დაბრკოლებას უქმნის გამოძიების ეფექტიანობას.“[17]

ამდენად, საქართველოს პარლამენტი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კომპიუტერული მონაცემის გამოთხოვა ფარულ ხასიათს არ ატარებს და მასზე ფარული საგამოძიებო მოქმედების განსახორციელებლად საჭირო სტანდარტის გავრცელება არ არის გამართლებული. კომპიუტერული მონაცემის გამოთხოვაზე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლით გათვალისწინებული სასამართლო კონტროლის არსებობა, სრულად უზრუნველყოფს შესაბამისი პირის უფლებების სათანადოდ დაცვას.“[18]

შესაბამისად , 2017-2022 წლამდე პერიოდში, როდესაც დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვაზე ვრცელდებოდა ფარული საგამოძიებო მოქმედების წესები დაცვის მხარე უფლებამოსილი იყო მიემართა სასამართლოსათვის და შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში დამოუკიდებლად ჩაეტარებინა საგამოძიებო მოქმედება, ხოლო მას შემდეგ რაც დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვაზე საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ზოგადი წესი (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე და 112-ე მუხლები) გავრცელდა, სასამართლო პრაქტიკა იმდაგვარად განვითარდა თითქოსდა აღნიშნულმა ცვლილებამ წაართვა დაცვის მხარეს საგამოძიებო მოქმედების დამოუკიდებლად ჩატარების უფლება, რაც არ არის სწორი და არ გამომდინარეობს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სისტემური და ისტორიული განმარტებიდან და ეწინააღმდეგება მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპს, ასევე, პრაქტიკული თვალსაზრისით არ არსებობს აღნიშნულ საგამოძიებო მოქმედებაში გამომძიებლის მონაწილოების საჭიროება. მაგალითად, დაცვის მხარეს სურს კონკრეტული პირის ტელეფონის ნომერზე შემავალი და გამავალი ზარების ამსახველი ინფორმაციის გამოთხოვა ფიჭური კავშირგამბულობის კომპანიისგან, იმ შემთხვევაში თუ დაცვის მხარე

[17] საქართველოს 2022 წლის 24 მაისის კანონის N1575 განმარტებითი ბარათი https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/297941 [ბოლო ნახვის თარიღი: 14.06.2023].

[18] იქვე.

აღნიშნულ კომპანიას წარუდგენს სასამართლოს განჩინებას, პროვაიდერმა უნდა გასცეს ეს ინფორმაცია. საკითხავია, სსსკ 111-ე მუხლის გათვალისწინებით, გამომძიებელმა აქ რა როლი უნდა შეასრულოს? მით უფრო პირველადი გამოკვლევა ბრალდების მხარის მიერ რა შედეგს მოგვცემს? ამ შეკითხვებზე არ არსებობს დამაჯერებელი პასუხი, რომელიც საკითხს იმ მხარის სასარგებლოდ გადაწყვეტს, რომელიც მხარს უჭერს ამ საგამოძიებო მოქმედების გამომძიებლის მიერ შესრულებას.

3. დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებათა მოპოვება

სამართლიანი სასამართლო განხილვის ფუნდამენტურ ასპექტს წარმოადგენს სისხლის სამართალწარმოების შეჯიბრებითი ხასიათი მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვით.[19] უდავოა, რომ შეჯიბრებითი სისხლის სამართლის პროცესის სამართლიანი სასამართლოს პრინციპის შესაბამისად წარმართვისა და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებისათვის უმნიშვნელოვანესია, მხარეებს გააჩნდეთ მტკიცებულებათა მოპოვების, გამოკვლევის და, შესაბამისად, სასამართლო პროცესზე მათი პოზიციის დასაბუთების თანაბარი შესაძლებლობა.[20] შეჯიბრებითი პროცესი დაფუძნებულია რწმენაზე, რომ სათანადოდ მომზადებული და დაინტერესებული მხარეები სასამართლოს წარუდგენენ საკმარის ინფორმაციასა და არგუმენტებს, ხოლო მოსამართლის ძირითად ამოცანას მხარეთათვის ასეთი შესაძლებლობის უზრუნველყოფა წარმოადგენს.[21] შეჯიბრებითი პროცესის ფარგლებში „მხარეს უნდა ჰქონდეს საქმისწარმოებაზე სამართლებრივი გავლენის მოხდენის, მტკიცებულების იმ პირობებში მოპოვება-წარდგენის და საკუთარი ინტერესების დაცვის გონივრული შესაძლებლობა, რომელიც არ აყენებს მას მოწინააღმდეგე მხარესთან შედარებით არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში.[22] მხარეთა შორის მითითებული ბალანსი მოიცავს სისხლის სამართლის პროცესში საგამოძიებო ღონისძიებებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურ თანასწორობას, ასევე აღნიშნულ ღონისძიებათა შედეგად მოპოვებული სხვადასხვა ხასიათის მტკიცებულებათა საკუთარი პოზიციის

---

[19] *ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი ლ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი ლ., გუნცაძე შ., მეზვრიშვილი ნ., თოლორაია ლ.,* საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, 84.

[20] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება N 1/4/809 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტიტიკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

[21] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის №3/1/608,609 გადაწყვეტილება.

[22] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება №1/1/650,699 საქმეზე „ საქართველოს მოქალაქეები ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

დასაბუთებისათვის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების ჩაურევლად მიღებასა და სამართალწარმოებაში მონაწილეობას დამოუკიდებლად განსაზღვრულ სტრატეგიაზე დაყრდნობით“ .[23]

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, დაცვის უფლება გარანტირებულია.[24] იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება თვალსაჩინოდ იქნა განხილული 1947 წელს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მომზადების დროს.[25]დაცვის უფლების არსი იმაში მდგომარეობს, რომ პირს, რომლის მიმართაც გარკვეული პროცესუალური ზომები ტარდება, უნდა გააჩნდეს შესაბამის პროცედურასა და მის შედეგზე ეფექტური ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა.[26] დაცვის მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს და დამოუკიდებლად ჩაატაროს არაიძულებითი სახის (მოწმის და დაზარალებულის გამოკითხვა, დათვალიერება, ექსპერტიზის დანიშვნა და სხვა) საპროცესო კანონმდებლობით რეგლამენტირებული მოქმედებები.[27] იმგვარ საგამოძიებო მოქმედებებს, რომლებიც დაკავშირებულია მესამე პირთა უფლების შეზღუდვასთან, დამოუკიდებლად ვერ ატარებს დაცვის მხარე. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის თანახმად, მან უნდა მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით და მისი დაკმაყოფილების შემთხვევაში საგამოძიებო მოქმედება ხორციელდება დამოუკიდებელი გამომძიებლის მიერ.[28]ამდენად, ცალკეულ შემთხვევებში დაცვის მხარეს უფლება აქვს საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს, მაგრამ არ აქვს მათი დამოუკიდებლად განხორციელების უფლება.[29]

შესაბამისად, დაცვის მხარეს კანონმდებელი ანიჭებს უფლებას, იმ შემთხვევაში, როდესაც მტკიცებულების მოპოვებისათვის საჭიროა ისეთი საგამოძიები ან სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარება, რომელსაც ბრალდებული ან მისი ადვოკატი დამოუკიდებლად ვერ ატარებს, შესაბამისი

---

[23] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება N 1/4/809 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტიტიკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

[24] საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995.

[25] *ტრექსელი შ.,* ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ, 2009, 262.

[26]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის №1/2/503,513 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ლევან იზორია და დავით-მიხეილ შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

[27] *კრავეიშვილი გ.,* გამოძიების ეტაპზე შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის ცალკეული პრობლემატური საკითხები, სამაგისტრო ნაშრომი, თბ., 2019, 9.

[28] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება N 1/4/809 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტიტიკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

[29] *ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., აქუბარდია ი., მეურმიშვილი ბ., გოგნიაშვილი ნ., ივანიძე მ.,* საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, თბ., 2017, 357.

განჩინების გამოტანის შუამდგომლობით მიმართოს მოსამართლეს.[30] აღსანიშნავია, რომ მსგავსი რეგულაცია არ არღვევს მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის პრინციპს, რადგან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა თანასწორობის უფლება გულისხმობს არა მხარეთა სრულ, ტოტალურ გათანაბრებას, არამედ მათთვის გონივრულობის ფარგლებში თანაბარი შესაძლებლობის მინიჭებას, დაცვის მხარის აღჭურვას იმგვარი საპროცესო უფლებებით, რომ შეძლოს ბრალდების მხარესთან კონკურენცია, სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის მოხდენა.[31]

4. დაცვის მხარის მტკიცებულების პირველადი გამოკვლევის უფლება

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, პირველადი გამოკვლევა გულისხმობს დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მოპოვებული საგნის, დოკუმენტის, ნივთის, ნივთიერების, ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის თავდაპირველად ბრალდების მხარის მიერ დათვალიერება, მისი შინაარსის გაცნობა, ამ მასალაზე ექსპერტიზის ან სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, სანამ ანალოგიური უფლებით დაცვის მხარე ისარგებლებს.[32] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის მე-10 ნაწილის მიხედვით, დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მოპოვებული საგნის, დოკუმენტის, ნივთის, ნივთიერების, ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ამ კოდექსით დადგენილი წესით პირველადი გამოკვლევის უფლება აქვს ბრალდების მხარეს. [33] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში აღნიშნული ნორმების გაჩენა გამოიწვია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებამ, რომლითაც სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის მე-10 ნაწილი: „ *არაკონსტიტუციურად იქნეს ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.*[34]" კანონპროექტის განმარტებით

---

[30] *ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი ლ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი ლ., გუნცაძე შ., მეზვრიშვილი ნ., თოლორაია ლ.,* საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, 189 -190.

[31]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება N 1/4/809 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტიტიკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[32] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 3, ნაწილი 38, სსმ, 31, 09/10/2009.

[33] იქვე., მუხლი 120, ნაწილი 10.

[34] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება N 1/4/809 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტიტიკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

ბარათში ვკითხულობთ, საკანონმდებლო ცვლილების გარეშე 2019 წლის პირველი ივლისიდან ბრალდების მხარეს აღარ ექნება უფლება, განახორციელოს დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ამოღებული საგნის, ნივთის, ნივთიერების, აგრეთვე ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის პირველადი გამოკვლევა. აღნიშნულით დაზიანდება ისეთი მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესი, როგორიცაა ბრალდების მხარის მიერ დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მოპოვებული პროცესისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულების გამოკვლევა.[35]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე „ტიტიკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ განმარტა, რომ რიგ შემთხვევებში შესაძლოა არსებობდეს რისკი, რომ დაცვის მხარის მიერ განზრახ ან გაუფრთხილებლობით მოხდება მისი შუამდგომლობით მოპოვებული ობიექტის დაზიანება ან განადგურება, ან შესაბამისი პროფესიული ცოდნისა და უნარის ნაკლებობის გამო დაცული არ იქნება ობიექტის შენახვის პირობები, რაც მომავალში გამოიწვევს მის მტკიცებულებად დაუშვებლობას. ჩხრეკისა და ამოღების შედეგად მოპოვებული ობიექტი, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მხარის შუამდგომლობით მოხდა მისი მოპოვება, აპრიორი ვერ იქნება მიჩნეული ბრალდების ან დაცვის მხარის მტკიცებულებად. მიუხედავად იმისა, რომ ობიექტის ამოღება მოხდა დაცვის მხარის ინიციატივით, იგი შეიძლება მიუთითებდეს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც ამყარებს ბრალდების მხარის პოზიციას და მომავალში დაცვის მხარის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული. აქედან გამომდინარე, ბრალდების მხარეს გააჩნია გარკვეული ინტერესი, რომ არ მოხდეს დაცვის მხარის შუამდგომლობით მოპოვებული ობიექტის დაზიანება ან განადგურება, ეჭვქვეშ არ დადგეს მისი ავთენტიკურობა და არ მოხდეს დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობა.[36]

ამდენად, დაცვის მხარის შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემდეგ, მაგრამ განჩინების აღსრულებამდე, დაცვის მხარეს უნდა ეცნობოს ამოღება/ჩხრეკის ჩამტარებელი გამომძიებლის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია.[37] დაცვის მხარის ასეთი უფლება ეფუძნება სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-7 ნაწილის

---

[35] საქართველოს 2019 წლის 17 ოქტომბრის კანონი N5186 განმარტებითი ბარათი https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/224259 [ბოლო ნახვის თარიღი:14.06.2023].

[36] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება N 1/4/809 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტიტიკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

[37] *ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., აქუბარდია ი., მეურმიშვილი ბ., გოგნიაშვილი ნ., ივანიძე მ.,* საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, თბ., 2017, 457.

მოთხოვნას- ბრალდებულის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს მისი ან მისი ადვოკატის შუამდგომლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში.[38]

გამომძიებელი (ბრალდების მხარე) მონაწილეობას იღებს დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედება ჩხრეკა/ამოღებაში. ბრალდების მხარის მიერ პირველადი გამოკვლევის უფლება ვრცელდება დაცვის მხარის შუამდგომლობით „საგნის, ნივთის, ნივთიერების, აგრეთვე ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის“ ამოღებაზე.[39]

5. ამოღების გამიჯვნა დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვისგან

საგამოძიებო მოქმედება დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვა იურიდიულ ლიტერატურაში შეფასებულია, როგორც საგამოძიებო მოქმედება ამოღების სპეციალური შემთხვევა,[40] მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მათ შორის განმასხვავებელი ნიშანიც ძალიან ბევრია. ინფორმაციის გამოთხოვა (სსსკ 136-ე მუხლი) ამოღებისგან განსხვავდება ამ საგამოძიებო მოქმედების ობიექტით და ჩატარების სპეციფიკით.[41] საგამოძიებო მოქმედების-ამოღების სპეციალური წესი რეგულირდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 119-120-ე მუხლებით, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლი არის ასევე სპეციალური (საგამონაკლისო) ნორმა, რომელიც არეგულირებს კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში შენახული სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ან დოკუმენტის მოპოვების წესს, რისთვისაც საგამოძიებო მოქმედების „ამოღების“ ნაცვლად ადგენს საგამოძიებო მოქმედება „გამოთხოვის“ ფორმას.[42]

საგამოძიებო მოქმედება ამოღება და დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვა იმითაც განსხვავდება ერთმანეთისგან, რომ ისინი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სხვადასხვა თავით არის გათვალისწინებული. საგამოძიებო მოქმედება ამოღება მოთავსებულია საგამოძიებო მოქმედებების

---

[38] *ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი ლ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი ლ., გუნცაძე შ., მეზვრიშვილი ნ., თოლორაია ლ.,* საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, 366.

[39] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება N 1/4/809 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტიტიკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

[40] *ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი ლ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი ლ., გუნცაძე შ., მეზვრიშვილი ნ., თოლორაია ლ.,* საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, 422.

[41] *ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., აქუბარდია ი., მეურმიშვილი ბ., გოგნიაშვილი ნ., ივანიძე მ.,* საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, თბ., 2017, 428.

[42] თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2017 წლის 19 ივლისის განჩინება N 1გ/960-17.

თავში, ხოლო საგამოძიებო მოქმედება დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვა, მოთავსებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-16 თავში. შედეგად, მოქმედ საპროცესო კანონმდებლობაში ცალკე, XVI თავის სახით გათვალისწინებულ იქნა კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებები, რომლებიც სპეციალურ საგამოძიებო მოქმედებას წარმოადგენენ.[43]

საგამოძიებო მოქმედება-ამოღება და ინფორმაციის გამოთხოვა იმითაც განსხვავდება ერთმანეთისგან, რომ დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვის კონტროლსა და ზედამხედველობას პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური ახორციელებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. [44] ასევე, განსხვავებულია საგამოძიებო მოქმედების ოქმის შედგენის წესი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის მე- 4[1] ნაწილის მიხედვით, ამ მუხლით გათვალისწინებულ საგამოძიებო მოქმედებაზე ვრცელდება ამ კოდექსის 134-ე მუხლის დებულებები,[45]ხოლო ამოღების ოქმის შედგენის თავისებურებები მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლში.[46]

საგამოძიებო მოქმედება ამოღებასა და დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვას შორის არსებობს სხვა განმასხვავებელი ნიშანიც. მაგალითად, ჩხრეკის ან ამოღების განხორციელება მართალია დაცვის მხარეს შეუძლია სასამართლოს ნებართვის (განჩინების) საფუძველზე, მაგრამ მოკლებულია აღნიშნულის ჩატარების უფლებას.[47] რაც შეეხება კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის გამოთხოვას, დაცვის მხარეს უკვე შეუძლია, შესაბამისი შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს და ითხოვოს კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის გამოთხოვა, ხოლო ხსენებული შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში თვითონ ჩაატაროს აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება, არა ამოღების ან დათვალიერების, არამედ კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის გამოთხოვის ოქმით, როგორც აკეთებს ბრალდების

---

[43] *ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., აქუბარდია ი., მეურმიშვილი ბ., გოგნიაშვილი ნ., ივანიძე მ.,* საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, თბ., 2017, 534.

[44] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 136, ნაწილი 5, სსმ, 31, 09/10/2009.

[45] იქვე., მუხლი 136.

[46] *ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი ლ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი ლ., გუნცაძე შ., მეზვრიშვილი ნ., თოლორაია ლ.,* საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, 420.

[47] *ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., აქუბარდია ი., მეურმიშვილი ბ., გოგნიაშვილი ნ., ივანიძე მ.,* საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, თბ., 2017, 357.

მხარე.[48] ინფორმაციის გამოთხოვა წარმოადგენს ისეთ საგამოძიებო მოქმედებას, რომლის დამოუკიდებლად ჩატარების უფლებამოსილებაც ენიჭება დაცვის მხარეს და ასეთ შემთხვევაში საქართველოს სსსკ-ის 111-ე მუხლის შესაბამისად, განჩინების შესრულების დავალება საგამოძიებო ორგანოსთვის მიზანშეუწონელია.[49]

6. დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საგამოძიებო მოქმედება დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვა განეკუთვნება საგამოძიებო მოქმედებათა იმ კატეგორიას, რომლის დამოუკიდებლად ჩატარების, როგორც ტექნიკური, ისე სამართლებრივი უფლებამოსილება გააჩნია დაცვის მხარეს. აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების უფლების შეზღუდვა დაცვის მხარისთვის, გამოიწვევს მის ჩაყენებას ბრალდების მხარესთან არათანსწორ მდგომარეობაში, რაც დაუშვებელია. აღსანიშნავია, რომ თუ საკითხს კრიტიკულად შევაფასებთ, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ამ საგამოძიებო მოქმედების (დოკუმენტის ან ინფორმაცის გამოთხოვის) შედეგად მოპოვებულ ინფორმაციაზე არ უნდა გავრცელდეს ბრალდების მხარის უფლება - დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულების პირველადი გამოკვლევის კონტექსტში, რადგან, რეალურად პირველადი გამოკვლევის უფლების არსი მიმართულია ისეთი შემთხვევისკენ, როდესაც ბრალდების მხარე თავადვე მონაწილეობს დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ჩასატარებელ საგამოძიებო მოქმედებაში (მაგალითად: ჩხრეკა, ამოღება), ხოლო დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვის შემთხვევაში, რადგან მისი ჩატარების უფლება ადვოკატს დამოუკიდებლად აქვს და მასვე უწევს პირველი შეხება ამ მტკიცებულებასთან, ბრალდების მხარის პირველადი გამოკვლევის უფლებაც აზრს მოკლებულია. პირველადი გამოკვლევა უნდა ვრცელდებოდეს მხოლოდ ამოღების და ჩხრეკის დროს მოპოვებულ მტკიცებულებებზე.

მიუხედავად იმისა, რომ იურიდიულ ლიტერატურაში დოკუმენტის ან ინფორმაცის გამოთხოვა შეფასებულია, როგორც ამოღების კერძო შემთხვევა, მათ შორის არსეობს ბევრი განმასხვავებელი ნიშანი. როგორც აღინიშნა, პროვაიდერისგან ინფორმაციის მიღების დროს აზრს მოკლებულია ბრალდების მხარის მიერ ამ ინფორმაციის გამოკვლევა. შეიძლება სადავო იყოს ვიდეოკამერის ჩანაწერის გამოკვლევა (ამ შემთხვევაში შეიძლება საჭირო გახდეს ჰაბიტოსკოპიური ან ფონოსკოპიური ექსპერტიზის ჩატარება) და უფრო

---

[48] *სურჟინი ა., ჭაჭუკაშვილი ლ., გიგუაშვილი ა., ჩომახაშვილი ქ.,* მტკიცებულებათა მოპოვებისა და სამართლებრივი დოკუმენტების დასაბუთების წესები სახელმძღვანელო ადვოკატებისთვის, თბ., 2021, 91.

[49] თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2022 წლის 25 მაისის განჩინება N1გ/800-22.

პრობლემური იყოს ინფორმაციის გამოთხოვა კონკრეტული ტელეფონიდან, რადგან ამ დროს ინფორმაციის გამოთხოვა ხდება ე.წ ,,სქრინების" სახით. აქ გასარკვევი შეიძლება იყოს- ნამდვილად ეს ტელეფონი გაიხსნა თუ არა ? ამიტომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში პირველადი გამოკვლევა შეიძლება განხორციელდეს ბრალდების მხარის მიერ, თუმცა სასურველი იქნებოდა ამ პროცესს თუ დაცვის მხარე დაესწრებოდა.

ამდენად, კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით სასურველია თუ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის მე-4[1] ნაწილიდან ამოღებული იქნება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლზე მითითება.

ბიბლიოგრაფია:

1. კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995;
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი , სსმ, 31, 09/10/2009;
3. საქართველოს 2022 წლის 24 მაისის კანონი N1575 „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ", სსმ, 24/05/2022;
4. *აქუბარდია ი,* შეჯიბრებითობის ქართული მოდელის ზოგიერთი ასპექტი, „გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი", N2, 2016;
5. *კრავეიშვილი გ,* გამოძიების ეტაპზე შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის ცალკეული პრობლემატური საკითხები, სამაგისტრო ნაშრომი, თბ., 2019;
6. *სურჟინი ა, ჭაჭუკაშვილი ლ, გიგუაშვილი ა, ჩომახაშვილი ქ,* მტკიცებულებათა მოპოვებისა და სამართლებრივი დოკუმენტების დასაბუთების წესები სახელმძღვანელო ადვოკატებისთვის, თბ., 2021;
7. *ტრექსელი შ ,* ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ, 2009;
8. *ფაფიაშვილი ლ, თუმანიშვილი გ, აქუბარდია ი, მეურმიშვილი ბ, გოგნიაშვილი ნ, ივანიძე მ,* საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, თბ., 2017;
9. *ფაფიაშვილი ლ, თუმანიშვილი ლ, კვაჭანტირაძე დ, ლიპარტელიანი ლ, დადეშქელიანი ლ, გუნცაძე შ, მეზვრიშვილი ნ, თოლორაია ლ,* საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015;
10. *ჩომახაშვილი ქ, თომაშვილი თ, ძებნიაური გ, ოსეფაშვილი ს, პატარიძე მ,* მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2016;
11. თბილისის საქალაქო სასამართლის სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2023 წლის 5 იანვრის განჩინება N87;
12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2022 წლის 25 მაისის განჩინება N1გ/800-22;
13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2017 წლის 19 ივლისის განჩინება N 1გ/960-17;

14. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება N 1/4/809 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტიტიკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
15. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება №1/1/650,699 საქმეზე „ საქართველოს მოქალაქეები ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
16. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის №3/1/608,609 გადაწყვეტილება;
17. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის №1/2/503,513 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ლევან იზორია და დავით-მიხეილ შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
18. საქართველოს 2019 წლის 17 ოქტომბრის კანონი N5186 განმარტებითი ბარათი https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/224259 ;[ბოლო ნახვის თარიღი:14.06.2023]
19. საქართველოს 2022 წლის 24 მაისის კანონის N1575 განმარტებითი ბარათი https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/297941;; [ბოლო ნახვის თარიღი:14.06.2023]

Nikoloz Tomasiani *

"Authority of the defense party when requesting information within the framework of Article 136 of the CPC".

Annotation

Up until 27th of January 2017 the defendant was restricted from request a ruling from the court to gain access on information or documentation which was stored in computer system which was wrong.

According to the ruling of the Constitutional Court of Georgia on January 27, 2017, the prosecution and the defense were put on equal conditions to request the information stored in the computer system. Section 4^1 was added to Article 136 of the Criminal Procedure Code, according to which the provisions of Articles 111, 112 and 134 of this Code apply to the investigative action provided for in this Article. According to Article 111, paragraph 1 of the Code of Criminal Procedure, on the basis of the motion of the defense side, with the reasoned motion, the investigator, who cannot be the same person who conducts the investigation of the given case, conducts the investigative action on the basis of the court ruling.

It should be noted that the judicial practice has also developed in this regard, and the court instructs the relevant unit of the Ministry of Internal Affairs to conduct the investigative action (requesting information) requested by the defense.

Thus, the purpose of this article is to assess whether the request for information constitutes an investigative action that the defense party does not have the right to conduct independently, and in such a case, how appropriate are the instructions of the judgment to the investigative body.

Keywords: defense, evidence, investigative action, to request information, computer system.

* Ivane Javakhishvili State Universitu, Faculty of Law, LLB Student.